

ინფორმაცია  
კორონავირუსი  
კოვიდ-19

---

უცხოელების დახმარებები და უფლებები

---

20 მაისი 2020

## ხშირად დასმული კითხვები (FAQ) თავშესაფრით მოსარგებლები

### მსურს მოვითხოვო თავშესაფარი

- თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაცია განახლდება 6 მაისიდან ილ-დე-ფრანსის რეგიონში, ხოლო 11 მაისის კვირის განმავლობაში დარჩენილ ტერიტორიაზე.
- თქვენ უნდა აკმაყოფილებდეთ თქვენს ტერიტორიაზე დაწესებულ პირობებს SPADA-ს პირველად მიმღებ სტრუქტურაში (სატელეფონო პლატფორმა ილ-დე-ფრანსში და სხვა რეგიონებში) და შემდეგ GUDA-ს რეგისტრაციის დახლთან მოსახვედრად.
- თქვენი თავშესაფრის განაცხადი არ განიხილება დაგვიანებულად და დაჩქარებული პროცედურით მხოლოდ იმ მიზეზით, რომ თქვენ 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებით საფრანგეთში, თუ ეს ვადა ამოიწურა 2020 წლის 12 მარტიდან 23 ივნისამდე.

### SPADA-ში 16 მარტამდე მოვხვდი, მაგრამ GUDA-ში არა

- თუ თქვენ არ დაგიკავშირდათ GUDA ან SPADA თქვენი რეგისტრაციის დასასრულებლად, მიმართეთ მხოლოდ ტელეფონით SPADA-ს, რათა განსაზღვროთ თქვენი სამომავლო ეტაპები.

### მე ვარ რეგისტრირებული GUDA-ში, მაგრამ ჯერ არ წარმიდგენია ჩემი მოთხოვნა OFPRA-ში

- 21 დღიანი ვადა რომელიც გეძლევთ რათა წარადგინოთ თქვენი მოთხოვნა ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონეთა ფრანგულ ოფისში (OFPRA) და რომელიც ამოიწურება 2020 წლის 12 მაისიდან 23 ივნისის განმავლობაში შეჩერებულია. 21-დღიანი ვადის დაწყება განახლდება 2020 წლის 24 ივნისიდან. ამიტომ თქვენ გაქვთ დრო 2020 წლის 15 ივლისამდე იმისათვის, რომ განცხადება წარუდგინოთ OFPRA-ს. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ OFPRA-ს წარუდგინოთ თქვენი მოთხოვნა ამ თარიღის ამოწურვამდე.

- ამიტომ არ არის აუცილებელი სასწრაფოდ დაუკავშირდეთ SPADA-ს, რათა დაგეხმარონ თქვენი საბუთების (დოსიეს) შედგენაში.
- თქვენი თავშესაფრის მაძიებლის შემწეობა (ADA) დაანგარიშდება, როგორც წესი, GUDA-ში თქვენი განაცხადის რეგისტრაციის დღიდან.

## მე ვიმყოფები დუბლინის პროცედურაში

- მე ვაგრძელებ პასუხის გაცემას ადმინისტრაციისგან მიღებულ შეტყობინებებზე და ვასრულებ ინსტრუქციას, რომელსაც ჩემი პრეფექტურა გადმომცემს. მე ვარ ინფორმირებული, რომ თუ ადმინისტრაციის დაბარებულზე არ გამოვცხადდები, შესაძლოა თავშესაფარზე უფლებამოსილების მქონე ორგანომ განიხილოს, რომ მე მათ მოთხოვნებს არ ვაკმაყოფილებ და მიმიჩნიონ როგორც გაქცეული.
- საყოველთაო სანიტარული საგანგებო მდგომარეობის გამო ტრანსფერის ვადა არ გახანგრძლივებულა ; თუ საფრანგეთი გახდა პასუხისმგებელი ჩემი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე, მე მივიღებ ფოსტით გამოძახებას, რომ ჩემი თხოვნა ხელახლა იქნას კლასიფიცირებული სტანდარტული ან დაჩქარებული წესით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვცხადდე სპონტანურად პრეექტურაში.

## მე ვიმყოფები OFPRA-ს პროცედურაში

- OFPRA თანდათან განაახლებს ინტერვიუებს, დაწყებულს იმ განმცხადებლებისგან, რომლებიც ცხოვრობენ ილ-დე-ფრანსის რეგიონში.
- თქვენ მიიღებთ შეტყობინებას დაბარების შესახებ SMS-ით და ფოსტით 11 მაისის შემდეგ
- თუ ბინადრობთ SPADA-ში, ეს უკანასკნელი თავად დაგიკავშირდებათ, რომ მოგაწოდოთ ინფორმაცია საფოსტო გზავნილის მიღების შესახებ. უსარგებლოა თქვენი მისვლა სპონტანურად SPADA-ში. თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ SPADA-ს მიერ შექმნილ ცხელ ხაზს თქვენს ტერიტორიაზე.

## მე მივიღე OFPRA-ს გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებაც მსურს

- თავშესაფრის ეროვნული სასამართლოს (CNDA) წინაშე ერთთვიანი სააპელაციო ვადა, რომელიც ამოიწურა 2020 წლის 12 მარტიდან და 24 მაისამდე შეჩერებულია. თქვენი სააპელაციო პერიოდის საწყისი წერტილი გადაიდო 2020 წლის 24 მაისამდე; თქვენ შეგიძლიათ 25 ივნისამდე გასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ ამ სარჩელის შეტანა ამ თარიღის ამოწურვამდე.
- ყველა გადაწყვეტილებას, რომლის გაგზავნა პანდემიის გამო ვერ მოხერხდა, იქნება გაგზავნილი ივნისის თვიდან.
- თუ გადაწყვეტილება დაუბრუნდა OFPRA-ს თქვენი წაკითხვის გარეშე, შეგიძლიათ მოითხოვოთ მისი ხალი გაგზავნა OFPRA-დან.

## მე ვარ თავშესაფრის მაძიებელი და ჩემი საბუთის (ატესტატის) ვადა იწურება

- თავშესაფრის მაძიებელთა ყველა სერტიფიკატი (ATDA), რომლის ვადა ამოწურა 2020 წლის 16 მარტიდან 15 ივნისამდე, ავტომატურად გახანგრძლივდა 90 დღით.
- ამიტომ, არ არის საჭირო, რომ გამოცხადდეთ პრეფექტურაში ან დაუკავშირდეთ პრეფექტურას, რომ საბუთი განაახლონ, რადგან ის ჯერ კიდევ ძალაშია.
- თქვენს ATDA-ზე დაწერილ მოქმედების ვადას არ აქვს თქვენს თავშესაფრის მაძიებლების შემწეობაზე გავლენა.
- 11 მაისის შემდეგ გაცემული ATDA-ს მოქმედების ვადა იცვლება: სტანდარტული პროცედურების შემთხვევაში, პირველი ATDA იქნება 10 თვიანი, ხოლო მეორე 6 თვიანი ; დაჩქარებული პროცედურების შემთხვევაში, პირველი ATDA იქნება 6 თვიანი, ხოლო მეორე ასევე 6 თვიანი; დუბლინის პროცედურის შემთხვევაში, ცვლილება არ არის.

## მე ვარ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარი (ლტოლვილი, სუბსიდიური დაცული პირი), როგორ შემიძლია ვისარგებლო ჩემი სოციალური უფლებებით?

- OFPRA-ს ან CNDA-ს გადაწყვეტილების წარმოდგენისთანავე, რომელიც ცნობს თქვენს უფლებებს და ბინადრობის ნებართვის დალოდების გარეშე, შეგიძლიათ მიიღოთ აქტიური სოლიდარობის შემოსავალი (RSA).
- ყველა საბუთი (რესპისე), რომლის ვადა იწურება 16 მარტიდან 15 ივნისამდე, გაგრძელდება 180 დღის განმავლობაში (6 თვით). ამ 180 დღის ამოწურვის შემდეგ შეგიძლიათ მოითხოვოთ მისი განახლება თქვენი პრეფექტურის ვებსაიტზე შესვლით, რომელიც მიგიითებთ საჭირო ნაბიჯებს.